ტვირთების დაზღვევის პირობები #MC/C-001/2022

მუხლი 1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანი

1.1. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია დამზღვევის ტვირთების დაზღვევა მზღვეველის მიერ წინამდებარე პირობების შესაბამისად დამზღვევის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდის საფუძველზე.

1.2. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევა ფარავს ტვირთის ტრანსპორტირების პერიოდის განმავლობაში საერთო ავარიისა და ქონების გადარჩენის ხარჯებს, რომლებიც გამოწვეულია **Institute Cargo Clauses (A)**-სა და **Institute Cargo Clauses (AIR)**-ში აღნიშნული რისკებით, წინამდებარე პირობების მე-3 მუხლში მოყვანილი გამონაკლისების გათვალისწინებით. ამასთან, წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო ურთიერთობა რეგულირდება, როგორც ამ პირობებით, ასევე **Institute Cargo Clauses (A)**-სა და **Institute Cargo Clauses (AIR)**-ში განსაზღვრული პირობებით. **Institute Cargo Clauses (A)** და**Institute Cargo Clauses (AIR)** თან ერთვის წინამდებარე პირობებს და წარმოადგენს მინს განუყოფელ ნაწილს.

1.3. წინამდებარე დაზღვევის პირობების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი ტვირთის დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო პოლის(ებ)ი. აღნიშნულ პოლისებზე მთლიანად ვრცელდება წინამდებარე პირობებით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, ინდივიდუალური სადაზღვევო პოლის(ებ)ის გაცემა ხორციელდება შესაბამისი განაცხადის დამზღვევის მიერ შევსებისა და მისთვის სასურველი რისკების აღნიშნულ განაცხადში მითითების საფუძველზე. ხსენებული სადაზღვევო პოლის(ებ)ი და შესაბამისი განაცხადები იქცევა ამ პირობების განუყოფელ ნაწილებად.

მუხლი 2 ტერმინთა განსაზღვრებანი

2.1. წინამდებარე პირობებში გამოყენებულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:
მზღვეველი - სს "სადაზღვევო კომპანია ალდაგი";

2.2. **დამზღვევი** - პირი, რომელიც დებს დაზღვევის ხელშეკრულებას მზღვეველთან და იხდის შესაბამის სადაზღვევო პრემიას;

2.3. **დაზღვევის ხელშეკრულება** – დაზღვევის ხელშეკრულება შედგება დამზღვევის მიერ შევსებული **განაცხადის** (მატერიალური ან ელექტრონული სახით), **სადაზღვევო პოლისისა** და წინამდებარე პირობებისგან **(დაზღვევის პირობები)**, რომელიც აწესრიგებს **დამზღვევსა** და **მზღვეველს** შორის ურთიერთობას.

2.4. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;

2.5. **სადაზღვევო თანხა** - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; თითოეული დაზღვეული ტვირთისათვის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე პირობების დებულებები; დამატებით შეიძლება დაწესდეს სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტ(ებ)ი, რაც ასევე ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში;

2.6. **სადაზღვევო პრემია** - თანხა, რომელიც მითითებულია შესაბამის სადაზღვევო პოლისში მისი გადახდის პირობებთან და ვადებთან ერთად და რომელიც წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწიენბული დაზღვევის საფასურს;

2.7. **ფრანშიზა** - შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობას; სხვადასხვა სადაზღვევო შემთხვევის მიმართ შეიძლება, დადგენილი იქნას ცალ-ცალკე ფრანშიზები, რაც, ასევე, ასახვას ჰპოვებს შესაბამის სადაზღვევო პოლისში;

2.8. **სადაზღვევო პერიოდი - (დაზღვევის მოქმედების ვადა)** - კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.;

2.9. **სადაზღვევო პოლისი** - წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;

2.10. **დაზღვევის განაცხადი** - მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რო მელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებლი მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.

2.11. **დაზღვევის ობიექტი** - დამზღვევის ქონებრივი ინტერესი, დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზარალის მზღვეველის მიერ ანაზღაურებასთან

2.12. **დაზღვევის საგანი** - დაზღვევის საგანს წარმოადგენს დამზღვევის ტვირთები, რომლის დეტალური დასახელება, სპეციფიკაცია და რაოდენობა მიეთითება დამზღვევის განაცხადსა და შესაბამის სადაზღვევო პოლისში.

2.13. **დაზღვევის ტერიტორია** - ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც არის დაზღვეული კონკრეტული ტვირთი. დაზღვევის კონკრეტული ტერიტორია მიეთითება შესაბამის ინდივიდუალურ სადაზღვევო პოლისში.

2.14. **სადაზღვევო შემთხვევა** - Iნსტიტუტე ჩარგო ჩლაუსეს (A)-სა და Iნსტიტუტე ჩარგო ჩლაუსეს (AIღ)-ში მითითებული რისკების ხდომილებით გამოწვეული დაზღვეული ტვირთის დაზიანება ან განადგურება, წინამდებარე პირობების მე-3 მუხლში მოყვანილი გამონაკლისების გათვალისწინებით.

2.15. **სადაზღვევო ანაზღაურება** - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;

2.16. **გამომუშავებული სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

2.17. **გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

წინამდებარე პირობებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ ჩვეულებრივი მნიშვნელობა. ამასთან, თუ პირობებში გამოყენებული ტერმინების გაგება არაერთგვაროვანია, სხვადასხვა ინტერპრეტაციებს შორის უპირატესობა ენიჭება საკანონმდებლო წესით განსაზღვრულ მნიშვნელობას, თუკი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

მუხლი 3. გამონაკლისები

3.1. წინამდებარე პირობების თანახმად, არ ანაზღაურდება დანაკარგი, დაზიანება ან ხარჯი, გამოწვეული:

3.1.1. დაზღვევის საგნის წონისა ან მოცულობის ჩვეული დაკლებით, ან ბუნებრივი ცვეთით.

3.1.2. დაზღვევის ობიექტის არასაკმარისი ან შეუფერებელი შეფუთვით ან დახურვით, ტვირთის დაზიანებულ მდგომარეობაში გაგზავნით;

3.1.3. დაზღვევის ობიექტის წუნით ან მისი ბუნებრივი თვისებებით;

3.1.4. ტვირთის ნაკლულობით გარე შეფუთვის მთლიანობის შემთხვევაში ან/და ტვირთის ქურდობით ან/და უგზოუკვლოდ / აუხსნელ ვითარებში გაუჩინარებით (დანაკლისით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაბამისი და სათანადო მტკიცებულებებით დგინდება, რომ ასეთ ქურდობას ან გაუჩინარებას (დანაკლისს) ადგილი ჰქონდა სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონტეინერში ან/და გადასაზიდ საშუალებაში ძალადობრივი ან/და ძალისმიერი შეღწევით;

3.1.5. ტემპერატურის, ტრიუმის ჰაერის ზეგავლენით ან ტვირთის განსაკუთრებული თვისებებით, მათ შორის გამოშრობით;

3.1.6. **გარემოს ტემპერატურის გავლენით, რომელიც განპირობებულია რეფრიჟერატორული მოწყობილობის ნებისმიერი სახის გაუმართაობის, მწყობრიდან გამოსვლის ან/და არასათანადო ექსპლუატაციის შედეგად ტემპერატურული რეჟიმის დარღვევით;**

3.1.7. ჭიების, მღრღნელების და მწერების მიერ ტვირთის დაზიანებით;

3.1.8. ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩატანის შეყოვნებით, ან ფასების ვარდნით; აგრეთვე არ ანაზღაურდება დამზღვევის ნებისმიერი სხვა არაპირდაპირი ზარალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე პირობების თანახმად აღნიშნული ზარალი ექვემდებარება ანაზღაურებას საერთო ავარიის წესით;

3.1.9. გადაზიდვის საშუალებათა მფლობელის, მმართველის ან ოპერატორის ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობა.

3.1.10. გადაზიდვის საშუალების უსაფრთხო გადატანისათვის გამოუსადეგრობით, როდესაც დაზღვეულისთვის (დამზღვევისათვის) ან მისი მომსახურე პერსონალისათვის ცნობილია გადაზიდვის საშუალების ასეთი გამოუსადეგარობა დაზღვევის ობიექტის მასში ჩატვირთვის დროს.

3.1.11. გადაზიდვის საშუალების მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, გარდა გასაჩერებლად გამოყოფილი და დაცული ადგილებისა.

3.1.12. იონიზირებული რადიაციით, თერმობირთვული საწვავის ნებისმიერი ნარჩენის ან რადიაქტიული დაბინძურებით.

3.1.13. უშუალოდ ან არაპირდაპირი საომარი მოქმედებებით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, აჯანყებით, დივერსიებით, მასობრივი არეულობით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გამოცხადებული განსაკუთრებული, საგანგებო, საომარი მდგომარეობით, ლოკაუტირებული მუშების გამოსვლებით და სხვა ანალოგიური მიზეზებით.

3.1.14. ტერორისტული აქტით;

3.1.15. გემის დანესტიანებითა და ტვირთის დასველებით ატმოსფერული ნალექების შედეგად;

3.1.16. დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახი ქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით აგრეთვე მათ მიერ ტვირთების გადაზიდვის, გადაგზავნის ან შენახვისათვის დადგენილი წესების დარღვევის შედეგად;

3.1.17. დაზღვევის ხელშეკრულებაში/ წინამდებარე პირობებში (ან შესაბამის პოლისში) აღნიშნულის გარდა სხვა რისკებით.

3.1.18. დაზღვევის ობიექტის დაზღვევის ტერიტორიაზე არყოფნის დროს.

3.1.19. ასევე ყველა იმ გამონაკლისით, რომელიც მოცემულია **Institute Cargo Clauses (A)**-სა და **Institute Cargo Clauses (AIR)**-ში.

3.1.20. დაზღვეულის (დამზღვევის) მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

3.1.21. გემბანზე განთავსებული ტვირთის ან ისეთი ტვირთის ბორტს მიღმა გადავარდნით ან ტალღის შედეგად გადაცვენით, რომლის გადაზიდვაც ხდება უგემბანო გემებით;

მუხლი 4. სადაზღვევო ტარიფი, სადაზღვევო პრემია, ფრანშიზა, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო ანაზღაურება

4.1. დამზღვევის მიერ ყოველი კონკრეტული ტვირთის დაზღვევისათვის მზღვეველის სასარგებლოდ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის, შესაბამისი სადაზღვევო თანხის, მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტების, სადაზღვევო ტარიფისა და უპირობო ფრანშიზის მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისით დამზღვევის მიერ წარმოდგენილი კონკრეტული განაცხადი-ანკეტის მონაცემთა საფუძველზე.

4.2. შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის დამზღვევის მიერ გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია ნაკისრი მოვალეობის შესრულებისაგან.

4.3. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, პრემიის დროულად, სადაზღვევო პოლისით დადგენილ ვადებში გადაუხ¬დე¬ლო¬ბისას, მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას, და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება..

4.4. სადაზღვევო ანაზღაურების სიდიდე თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე არ შეიძლება აღემატებოდეს რეალური ზიანის თანხის სიდიდეს.

4.5. სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად დამზღვევმა მზღვეველს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განცხადებული პრეტენზია (განცხადების ფორმით);

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი; (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარ¬გუ¬ლად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზ¬ღა¬ურებას არ ექვემდებარება).

გ) დაზიანებული ტვირთის ანგარიშფაქტურა, რომელიც გაიცა ტვირთის გამოსვლის ადგილას;

დ) ტვირთის სატრანსპორტო ზედნადების ორიგინალი და ხელშეკრულება სატრანსპორტო კომპანიასთან (გადამზიდველთან, ექსპედიტორთან);

ე) ზარალის შეფასების აქტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომასა და ზარალის ოდენობას;

ვ) ტვირთის დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას მისი ოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სხვა ნებსიმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც ხელმისაწვდომია დაზღვეულისათვის და კავშირშია დამდგარ სადაზღვევო შემთხვევასთან.

4.6. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის საფუძველს წარმოადგენს სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომელიც დგება სადაზღვევო შემთხვევის დამდასტურებელი ყველა აუცილებელი დოკუმენტის მზღვეველის მიერ მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, რომელშიც განისაზღვრება სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის სიდიდე, ოდენობა და ასანაზღაურებელი თანხის მოცულობა.

4.7. ზარალის ოდენობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და სხვა გარემოებების დადგენა ხორციელდება დამოუკიდებელი ექსპერტის, მზღვეველის ან მზღვეველის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ მზღვეველი და დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მზღვეველი ფარავს;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს დამზღვევი ფარავს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მზღვეველისა და დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის.

4.9. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შემდგომ სადაზღვევო თანხა მცირდება გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურების თანხის ოდენობით.

4.10. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამის დავალიანების თანხა.

მუხლი 5. რეგრესი

5.1. მზღვეველზე, რომელმაც გადაიხადა სადაზღვევო ანაზღაურება, გადადის რეგრესული მოთხოვნის უფლება მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ გადახდილი ანაზღაურების ოდენობის ფარგლებში. დამზღვევი ვალდებულია, გადასცეს მზღვეველს მის ხელთ არსებული ყველა დოკუმენტი (მათ შორის, შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭიდთა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: შემთხვევის ადგილი და თარიღი, შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები), რომელიც საჭიროა ამ მოთხოვნის რეალიზაციისათვის.

5.2. დამზღვევის მიერ ზიანზე პასუხისმგებელი პირისათვის უარის თქმა პრეტენზიებზე ან იმ უფლებებზე, რომელიც უზრუნველყოფს მის მიმართ მოთხოვნების რეალიზაციას, აგრეთვე უარის თქმა მზღვეველისათვის, გადასცეს ამ უკანასკნელს რეგრესული მოთხოვნის წასაყენებლად საჭირო დოკუმენტები, ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. დამზღვევი (დაზღვეული) ვალდებულია:

6.1.1. განუხრელად დაიცვას წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები.

6.1.2. უზრუნველყოს მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასადებად და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის გასაცემად აუცილებელი ინფორმაციით.

6.1.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია.

6.1.4. დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში შეატყობინოს ამის შესახებ მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყონებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან.

6.1.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მიიღოს ობიექტურად შესაძლებელი ყველა საჭირო ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის სიდიდის შესამცირებლად;

6.1.6. გაუწიოს მზღვეველს (მზღვეველის მიერ უფლებამოსილ წარმომადგენელს) სათანადო დახმარება და ხელი შეუწყოს, რათა მან მონაწილეობა მიიღოს სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მისი დადგომის გამომწვევი გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

6.1.7. მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში;

6.1.8. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 48 საათისა, აცნობოს მომხდარის შესახებ მზღვეველს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

6.1.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ.

6.1.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში.

6.1.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და/ან მის მიმართ წარმოებულ იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე.

6.1.12. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ტვირთის უსაფრთხოების დასაცავად.

6.1.13. ზედმიწევნით დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს.

6.1.14. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყონებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.

6.1.15. თუ დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული, დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში ტვირთის ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები დამზღვევის წინაშე ვალდებულნი არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

6.2. დამზღვევი (დაზღვეული) უფლებამოსილია:

6.2.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

6.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

6.3. მზღვეველი ვალდებულია:

6.3.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;

6.3.2. მიიღოს დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;

6.3.3. შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;

6.3.4. გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისავის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 1 (ერთი) კალენდარული თვის ვადაში;

6.3.5. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე პირობებით ნაკისრი მოვალეობები.

6.4. მზღვეველი უფლებამოსილია:

6.4.1. მოითხოვოს დამზღვევისგან სადაზღვევო პოლისის გასაცემად აუცილებელი ინფორმაცია (ზედმიწევნით სრულყოფილად შევსებული შესაბამისი ანკეტა-განაცხადი);

6.4.2. მოითხოვოს დამზღვევისგან სადაზღვევო პრემიის სრული და დროული გადახდა;

6.4.3. გააკონტროლოს დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;

6.4.4. შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (და/ან შესაბამისი პოლისის) მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი ხელშეკრულების დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა დაზღვევის საგანთან დაკავშირებული არსებითი გარემოებები;

6.4.5. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.

6.4.6. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;

6.4.7. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს დამზღვევისაგან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;

6.4.8. სრული კონტროლი გაუწიოს სარჩელის (პრეტენზიის) მოგვარებისათვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა სახის პროცედურას;

6.4.9. მოახდინოს დაზიანებული ტვირთის დათვალიერება და ფოტოგადაღებები;

6.4.10. შეადგინოს ზარალის მოცულობის, ხასიათისა და გამომწვევი მიზეზების განსაზღვრის აქტი, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, უფლებამოსილი წარმომადგენლის (ექსპერტის) მეშვეობით;

6.4.11. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო განადგურებულ ტვირთზე, ხოლო ტვირთის დაკარგვის გამო სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას დაკარგული ტვირთის პოვნის შემთხვევაში - ნაპოვნ ტვირთზე.

შესაბამისად, დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვა¬ლის¬წინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძ¬ლე¬ბა განხორციელდეს ტვირთზე საკუთრების უფლების გადმოსვლით ან დამზღვევის მიერ ტვირთის რეალიზაციის შემთხ¬ვევაში, ფულადი ფორ¬მით თანხის მიღების გზით, ამასთან, ტვირთის რეალიზაციას¬თან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასაწრ ათანხმებს მზღვეველთან. ამასთან დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მზღვეველს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას.

6.4.12. არ აანაზღაუროს ზარალი დამზღვევის მიერ წინამდებარე პირობებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

6.4.13. თუ მოსარგებლისათვის ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გაირკვა, რომ სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეული იყო მესამე პირის ქმედებით, გამოიყენოს რეგრესის მოთხოვნის უფლება და მოითხოვოს ანაზღაურება დაზღვეულზე გაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში.

6.4.14. გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის (მოსარგებლის) ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;

6.4.15. არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დამზღვევმა სადაზღვევო შემთხვევა გამოიწვია განზრახ.
6.4.16. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო თანხა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღემატება სადაზღვევო ღირებულებას.
6.4.17. არ აანაზღაუროს ზარალი, თუ დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველისათვის ინფორმაცია არ წარუდგენია წერილობითი ფორმით;
6.4.18. არ აანაზღაუროს ზარალი, თუ შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევს აქვს დავალიანება მზღვეველის წინაშე ანუ გადაუხდელი აქვს სადაზღვევო პრემია;
6.4.19. ამასთან, მზღვეველის პასუხისმგებლობა არ წარმოიშობა გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;

მუხლი 7. დავა, ზიანის ანაზღაურება

7.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმლებლობის შემთხვევაში კი სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7.2. დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული დავების/უთანხმოების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მორიგების მიზნით მიმართონ ა(ა)იპ „სადაზღვევო კომპანიათა ასოციაციის“ (ს/კ 204878481) „დაზღვევის მედიაციას“ სატელეფონო ხაზის მეშვეობით ნომერზე: (+995 32) 2555155, ელექტრონული ფოსტის მისამართზე მედიაცია@ინსურანცე.ორგ.გე. „დაზღვევის მედიაციის“ მეშვეობით მორიგების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს 7.1. პუნქტის შესაბამისად.
7.3. თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები დროებით თავისუფლდებიან დაზღვევის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ზემოხსენებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების მიზეზი იყო დაუძლეველი ძალის ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა.
8.2. ფორს-მაჟორული მდგომარეობის დადგომის შემთხვევაში მხარეთა ვალდებულებანი წყდება მხოლოდ დროებით და სრულად ახლდება ამ გარემოებათა დამთავრების ან აღმოფხვრისთანავე.
8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომა და შეწყვეტა უნდა დაადასტუროს შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ.

მუხლი 9. დაზღვევის/ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული დაზღვევის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს:

ა) მზღვეველის მიერ შესაბამისი სადაზღვევო პოლისის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულება;

ბ) მეორე მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობა;

გ) შესაბამისი პოლისით გათვალისწინებული ვადის გასვლა;

დ) თუ დაზღვევის საგანი აღარ არსებობს, გარდა სადაზღვევო რისკით გამოწვეული შედეგებისა (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში);

ე) თუ დამზღვევი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით წყვეტს საქმიანობას;

ვ) ამოიწურა სადაზღვევო თანხით განსაზღვრული სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი (აღნიშნული ვრცელდება კონკრეტულ სადაზღვევო პოლისთან მიმართებაში).

ზ) თუ სადაზღვევო რისკის ზრდა დამზღვევის, მისი წარმომადგენლის ან დამზღვევის სახელით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არის გამოწვეული;

თ) მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

9.2. მზღვეველის მიერ სადაზღვევო პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდა წინამდებარე პირობების 9.1 მუხლის ა, გ, დ და ვ ქვეპუნქტებისა, როდესაც დაზღ¬ვევა შეწყდება ამგვარი მოვლენის დადგომის მომენტიდან), იგი ვალდებულია გაუგზავნოს დამზღვევს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 10 დღიანი ვადის დაცვით. სადაზღვევო პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი დაუბრუნდება დამზღვევს იმ პირობით, თუ იგი დააბრუნებს სადაზღვევო პოლისს მისი გაუქმებიდან 14 დღის განმავლობაში, ასევე, 9.4. პუნქტით დადგენილი პირობის გათვალისწინებით.

9.3. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების შემთხვევაში იგი ვალდებულია გაუგზავნოს მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის იურიდიულ მისამართზე 10 დღიანი ვადის დაცვით. დამზღვევს, მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, დაუბრუნდება გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია პროპორციულად.

9.4. ამასთან, დაზღვევის შეწყვეტისას მზღვეველის მიერ პოლისის მოქმედების პერიოდში კონკრეტულ დაზღვეულ ტვირთთან მიმართებაში ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების შემთხვევაში, გამოუმუშავებელი პრემია ასეთ ტვირთთან მიმართებაში დაბრუნებას არ ექვემდებარება, განვადებით სადაზღვევო პრემიის გადახდისას კი გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია ექვემდებარება დამზღვევის მიერ სრულად დაფარვას.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

10.1. დაზღვევის ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შედგენილია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

10.2. დაზღვევის ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელ-შეკრულების ბათილობას, თუ იგი დაიდებობა ასეთი ბათილი პუნქტის გარეშეც.

10.3. დაზღვევის ხელშეკრულების აღსრულებისათვის აუცილებელი ყველა შეტყობინება მხარეებს მიეწოდება წერილობითი ფორმით, ან გადაეგზავნება ფაქსით, ან დაზღვეული ფოსტით მხარეთა ადფილსამყოფელის მიხედვით. მისამართის/ადგილსამყოფელის ცვლილების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მზღვეველისთვის მიუწოდებლობის შემთხვევაში, მზღვეველის მიერ გამგზავნილი ნებისმიერი კორესპოდენცია/შეტყობინება ჩაითვლება დამზღვევის მიერ მიღებულად.

10.4. წინამდებარე პირობების თანახმად, სახელშეკრულებო პირობები ატარებენ კონფიდენციალურ ხასიათს და დაზღვევის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველგვარი ინფორმაცია მესამე პირს (პირებს) გადაეცემა(თ) მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასევე, მხარეთა მიერ წერილობით გათვალისწინებული შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, დაზღვევის ხელშეკრულებაზე (სადაზღვევო პოლისზე) ხელმოწერით დამზღვევი ანიჭებს უპირობო უფლებას მზღვეველს, დამატებითი შეთანხმების გარეშე, დამზღვევის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია გადასცეს სს "კრედიტინფო საქართველოს" (რეგისტრირებული მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წ. 14 თებერვალს, რეესტრის #06/5-51, საიდენტ. #204470740), რაც გამოიწვევს დამზღვევის აღრიცხვას "კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში.

10.5. წინამდებარე პირობების ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე;

10.6. სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ იგი სრულად გაეცნო ამ პირობების, **Institute Cargo Clauses (A)**-ისა და **Institute Cargo Clauses (AIR)**-ის უკლებლივ ყველა პირობას და ეთანხმება მათ შინაარსს.

1/ 1/ 09.

ლონდონის მზღვეველთა ინსტიტუტის ტვირთის დაზღვევის პირობები (A)

დაფარული რისკები

რისკები

1. ეს დაზღვევა ფარავს დაზღვევის საგნის დაკარგვის/განადგურების ან დაზიანების ყველა რისკს, გარდა ქვემოთ მოყვანილი მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 დათქმებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

საერთო ავარია

2. ეს დაზღვევა ფარავს გადაზიდვის ხელშეკრულების და/ან მარეგულირებელი სამართლისა და არსებული სამართლებრივი პრაქტიკის შესაბამისად გადანაწილებულ თუ განსაზღვრულ საერთო ავარიისა და გადარჩენის ხარჯებს, რომელიც გაწეულია ნებისმიერი (ქვემოთ მოყვანილი მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 დათქმებით გამორიცხულების გარდა) მიზეზით გამოწვეული დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან ამგვარ აცილებასთან დაკავშირებით.

„ორმხრივი ბრალეულობით გამოწვეული შეჯახების დათქმა“

3. ამ დაზღვევით დაფარულ ნებისმიერ რისკთან დაკავშირებით, დამზღვევს ასევე დაეფარება პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება გადაზიდვის ხელშეკრულებაში არსებული „ორმხრივი ბრალეულობით გამოწვეული შეჯახების დათქმის“ ფარგლებში. აღნიშნული დათქმით გადამზიდავების მიერ მის წინააღმდეგ რაიმე მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, დამზღვევი თანახმაა აცნობოს მზღვეველს ამის შესახებ, ხოლო ეს უკანასკნელი უფლებამოსილია საკუთარი ხარჯით დაიცვას დამზღვევი წაყენებული მოთხოვნისგან.

გამონაკლისები

4. ამ დაზღვევით არცერთ შემთხვევაში არ დაიფარება

4.1. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც რაიმე კავშირშია დამზღვევის მიერ განზრახ ჩადენილ არამართლზომიერ ქმედებასთან;

4.2. დაზღვევის საგნის ჩვეული გაჟონვა, წონის და მოცულობის ჩვეული კლება ან მისი ჩვეული ცვეთა და ფლეთა;

4.3. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის არასაკმარისი ან შეუფერებელი შეფუთვითა თუ მომზადებით (როცა ეს შეფუთვა თუ მომზადება განხორციელებულია დამზღვევის/მისი თანამშრომლების მიერ ან ამ დაზღვევის ძალაში შესვლამდე) იმისათვის, რომ მან გაუძლოს დაზღვეული გადაზიდვის დროს მომხდარ ყველა ჩვეულ შემთხვევას (ამ დათქმის მიზნებისთვის იგულისხმება, რომ „შეფუთვა“ მოიცავს აგრეთვე კონტეინერში მოთავსებას, ხოლო „თანამშრომლებში“ არ მოიაზრებიან დამოუკიდებელი კონტრაქტორები);

4.4. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის თანდაყოლილი დეფექტით ან მისი განსაკუთრებული ბუნებით;

დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია შეფერხებით იმ შემთხვევაშიც კი, როცა შეფერხება, თავის მხრივ, გამოწვეულია დაფარული რისკით (გარდა ზემოთ მოყვანილი მე-2 დათქმის ფარგლებში ასანაზღაურებელი ხარჯებისა);

4.6. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია მცურავი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეების, მენეჯერების, დამფრახტველების ან ოპერატორების გადახდისუუნარობით ან მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით, მაშინ როდესაც, დაზღვევის საგნის მცურავ სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას, დამზღვევისთვის ცნობილია ან ჩვეული ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში უნდა იყოს ცნობილი, რომ მსგავსმა გადახდისუუნარობამ ან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზღვაო გადაზიდვის ნორმალურად წარმართვას.

აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო მოთხოვნა ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წამოაყენა მხარემ, რომელსაც გადაეცა ამ დაზღვევით მინიჭებული უფლებები და რომელმაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად დადებული დამავალდებულებელი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა დაზღვევის საგანი ან თანხმობა განაცხადა მის შეძენაზე;

4.7. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გამოწვეული ან განპირობებულია ისეთი იარაღის ან დანადგარის გამოყენებით, რომლის მოქმედება ეფუძნება ატომურ თუ ბირთვულ დაშლას და/ან სინთეზს ან სხვა მსგავს რეაქციას, რადიოაქტიური ბუნების ძალას ან მასალას.

5. 5.1. ეს დაზღვევა არცერთ შემთხვევაში არ ფარავს დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, რომელიც განპირობებულია

5.1.1. 5.1.1. ნაოსნობისთვის გამოუსადეგარი ან დაზღვევის საგნის უსაფრთხო ტრანსპორტირებისთვის შეუსაბამო მცურავი სატრანსპორტო საშუალების ან ჩატვირთვა-გადმოტვირთვის განკუთვნილი მცირე მცურავი საშუალების (მაგალითად, ბარჟის) გამოყენებით, იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის საგნის მათში ჩატვირთვის მომენტში დამზღვევისთვის ცნობილი იყო ასეთი გამოუსადეგარობის თუ შეუსაბამობის შესახებ;

5.1.2. 5.1.2. დაზღვევის საგნის უსაფრთხო გადაზიდვისთვის შეუსაბამო კონტეინერის ან გადასაზიდი საშუალების გამოყენებით, იმ შემთხვევაში, როცა მასში/მასზე ჩატვირთვა/დატვირთვა მოხდა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ან განხორციელდა დამზღვევის/მისი თანამშრომლების მიერ და ჩატვირთვის/დატვირთვის მომენტში მათთვის ცნობილი იყო ასეთი შეუსაბამობის შესახებ;

5.2. ზემოთ მოყვანილი გამონაკლისი 5.1.1 არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო მოთხოვნა ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წამოაყენა მხარემ, რომელსაც გადაეცა ამ დაზღვევით მინიჭებული უფლებები და რომელმაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად დადებული დამავალდებულებელი ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა დაზღვევის საგანი ან თანხმობა განაცხადა მის შეძენაზე;

5.3. მზღვეველი უარს ამბობს იმ უფლებების გამოყენებაზე, რომელიც მას ენიჭება გემის სანაოსნოდ ვარგისიანობის, ასევე დაზღვევის საგნის დანიშნულების ადგილამდე გადაზიდვისთვის მისი შესაბამისობის თაობაზე ნაგულისხმები გარანტიების დარღვევის გამო.

6. ეს დაზღვევა არცერთ შემთხვევაში არ ფარავს დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, რომელიც გამოწვეულია

6.1. ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხებით ან აღნიშნული გარემოებით გამოწვეული სამოქალაქო მღელვარებით, ან მეომარი ძალის მიერ ან მის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი მტრული ქმედებით;

6.3. მიტოვებული ნაღმებით, ტორპედოებით, ბომბებით ან სხვა მიტოვებული საბრძოლო იარაღით.

7. ეს დაზღვევა არცერთ შემთხვევაში არ ფარავს დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, რომელიც

7.1. გამოწვეულია გაფიცული თუ დაბლოკილი (locked-out) მუშაკებით ან პირებით, რომლებიც მონაწილეობენ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ პროტესტში, ამბოხებებში, ან სამოქალაქო მღელვარებებში;

7.2. გამოწვეულია გაფიცვებით, დაბლოკვით, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული პროტესტით, ამბოხებებით ან სამოქალაქო მღელვარებებით;

7.3. გამოწვეულია ნებისმიერი ტერორისტული აქტით, რაც წარმოადგენს ნებისმიერი ისეთი ორგანიზაციის სახელით ან მასთან დაკავშირებით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, რომელიც ახორციელებს საქმიანობას, მიმართულს ლეგიტიმური თუ სხვა ხელისუფლების ძალით ან ძალადობით დამხობისკენ ან ამგვარ ხელისუფლებაზე ძალით ან ძალადობით ზემოქმედებისკენ;

7.4. გამოწვეულია პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ქმედებით.

დაზღვევის მოქმედების პერიოდი

დათქმა გადაზიდვის შესახებ

8.1. მე-11 დათქმის გათვალისწინებით, ეს დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა საწყობში ან შენახვის სხვა ადგილზე (რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებაშია მითითებული) მდებარე დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ავტოტრანსპორტში ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში(ზე) უმალ ჩატვირთვის/დატვირთვისა და გადაზიდვის დაწყების მიზნით, ძალაში რჩება გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის განმავლობაშიდა მისი მოქმედება სრულდება ან

8.1.1. დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ დანიშნულების ადგილზე არსებულ საბოლოო დასაწყობების ადგილზე (ადგილთან) გადამზიდი ავტოტრანსპორტიდან ან სხვა სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოტვირთვის დასრულებისთანავე; ან

8.1.2. გადამზიდი ავტოტრანსპორტიდან ან სხვა სატრანსპორტო საშუალებიდან, დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული დანიშნულების ადგილის მიღწევამდე თუ დანიშნულების ადგილის მიღწევისას სხვა დასაწყობების ადგილზე (ადგილთან) გადმოტვირთვის დასრულებისთანავე, რომელიც დამზღვევმა/მისმა თანამშრომლებმა აირჩიეს დასაწყობებისათვის გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის დარღვევის შემთხვევაში ან ტვირთის განაწილების თუ დისტრიბუციის მიზნით, ან

8.1.3. როცა დამზღვევი/მისი თანამშრომლები გადაწყვეტენ გამოიყენონ რაიმე ისეთი გადამზიდი ავტოტრანსპორტი თუ სხვა სატრანსპორტო საშუალება ან ტვირთის ჩასაწყობად განკუთვნილი კონტეინერი, რომელიც განსხვავდება იმისაგან, რასაც გამოიყენებდნენ გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის დროს, ან

8.1.4. საბოლოო გადმოტვირთვის ნავსადგურში საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან დაზღვევის საგნის გადმოტვირთვის დასრულებიდან 60 დღის გასვლისთანავე, იმისდა მიხედვით, თუ 8.1.1 - 8.1.4 მოვლენებიდან რომელი მოხდება სხვებზე ადრე.

8.2. თუ, საბოლოო გადმოტვირთვის ნავსადგურში ტვირთის საზღვაო სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოტვირთვის შემდეგ, მაგრამ ამ დაზღვევის მოქმედების დასრულებამდე, აღმოჩნდება, რომ დაზღვევის საგანი უნდა გადაიზიდოს ახალ დანიშნულების პუნქტში, ისეთში, რომ ამ გადაზიდვის დროს დაზღვევის საგანი არ იქნება ამ დაზღვევით დაფარული, ამ სადაზღვევო დაფარვის მოქმედება, რომელიც ნორმალურ ვითარებაში სრულდება ისე, როგორც ეს 8.1.1.-8.1.4. დათქმებშია აღწერილი, არცერთ შემთხვევაში არ გაგრძელდება იმ მომენტის შემდეგ, როცა დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ამ ახალ დანიშნულების პუნქტში გადაზიდვის დაწყების მიზნით.

8.3. ეს სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება (მისი მოქმედების დასრულების 8.1.1.-8.1.4. დათქმებში აღწერილი პირობებისა და ქვემოთ მოყვანილი მე–9 დათქმის დებულებების გათვალისწინებით) გადაზიდვის დროს მომხდარი დაყოვნების განმავლობაშიც, თუ ასეთი დაყოვნების მიზეზები დამზღვევის კონტროლის ფარგლებს გარეთაა; ასევე, კურსიდან ნებისმიერი გადახვევის, ტვირთის იძულებითი ჩამოტვირთვის, გემზე მისი ხელახლა დატვირთვის ან სხვა გემზე გადატვირთვის დროს და გადაზიდვის მიმდინარეობაში მომხდარ ისეთ ნებისმიერ ცვლილებისას, რომელიც გამოწვეულია გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველებისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებით.

გადაზიდვის ხელშეკრულების შეწყვეტა

9. თუ დამზღვევის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო, გადაზიდვის ხელშეკრულება შეწყდება იმ ნავსადგურში ან იმ ადგილზე, რომელიც არ არის დანიშნულების ადგილი ამ ხელშეკრულების მიხედვით, ან ტვირთის გადაზიდვა სხვაგვარად შეწყდება, მანამ სანამ დაზღვევის საგანი გადმოიტვირთება ისე როგორც ეს ზემოთ მოცემულ მე-8 დათქმაშია აღწერილი, ეს დაზღვევაც ჩაითვლება შეწყვეტილად გარდა იმ შემთხვევისა, როცა მზღვეველს დაუყოვნებლივ ეცნობება შექმნილი ვითარების შესახებ და მოთხოვნილი იქნება სადაზღვევო დაფარვის მოქმედების გაგრძელება; ასეთ შემთხვევაში, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობით (თუ ასეთი იქნა მოთხოვნილი), ეს დაზღვევა დარჩება ძალაში

9.1. ტვირთის გაყიდვასა და შესაბამის ნავსადგურში თუ ადგილზე მის მიწოდებამდე, ან, თუ სხვაგვარად არ არის სპეციალურად შეთანხმებული, დაზღვევის საგნის ზემოთ ხსენებულ ნავსადგურში ან ადგილზე ჩამოტვირთვიდან 60 დღის გასვლამდე (იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოხდება უფრო ადრე)ან

9.2. მე-8 დათქმის მიხედვით მის დასრულებამდე, თუ ზემოთ ხსენებული 60 დღის (ან უფრო ფართო შეთანხმებული პერიოდის) განმავლობაში დაზღვევის საგანი გადაიგზავნება დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ ან სხვა დანიშნულების ადგილზე.

მარშრუტის ცვლილება

10. 10.1. იმ შემთხვევაში, თუ ამ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, დამზღვევი შეცვლის დანიშნულების ადგილს, ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მზღვეველს რათა მოხდეს ახალ საპრემიო განაკვეთსა და დაზღვევის პირობებზე შეთანხმება. ამასთან, თუ ამგვარი შეთანხმების მიღწევამდე, დამზღვევი განიცდის ზარალს, იგი შეიძლება დაიფაროს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს დაფარვა ხელმისაწვდომი იქნებოდა კომერციულ ბაზარზე არსებულ გონივრულ ფასად და გონივრული საბაზრო პირობებით.

10.2 თუ დაზღვევის საგნის გადაზიდვა, რომელსაც ითვალისწინებს ეს დაზღვევა, იწყება (8.1 დათქმის შესაბამისად), მაგრამ გემი გაემართება სხვა დანიშნულების ადგილისკენ ისე, რომ ამის შესახებ არც დამზღვევმა და არც მისმა თანამშრომლებმა არაფერი იციან, იგულისხმება, რომ, მარშრუტის ცვლილების მიუხედავად, ამ სადაზღვევო დაფარვის მოქმედება იწყება ამგვარი გადაზიდვის დაწყებისთანავე.

სადაზღვევო მოთხოვნები

დაზღვევადი ინტერესი

11. 11.1. ამ დაზღვევის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად აუცილებელია, რომ ზარალის დადგომის მომენტში დამზღვევს გააჩნდეს დაზღვევადი ინტერესი დაზღვევის საგნის მიმართ.

11.2 ზემოთ მოყვანილი 11.1 დათქმის გათვალისწინებით, დამზღვევი უფლებამოსილია აინაზღაუროს ამ დაზღვევით დაფარული ზარალი მომხდარი ამ დაზღვევის მოქმედების პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც ზარალის მოხდენა წინ უძღოდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების დადების მომენტში დამზღვევი ინფორმირებული იყო ზარალის შესახებ, მზღვეველი კი – არა.

12. იმ შემთხვევაში, თუ ამ დაზღვევით დაფარული რისკის გამოვლენის გამო დაზღვეული გადაზიდვა შეწყდება ისეთ ნავსადგურში ან ადგილას, რომელიც ამ დაზღვევის ხელშეკრულებაში არ არის მიჩნეული გადაზიდვის საბოლოო დანიშნულების ადგილად, მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს ნებისმიერი სახის დამატებით ხარჯებს, რომელიც გონივრულობის ფარგლებში და აუცილებლობიდან გამომდინარე იქნება გაწეული დაზღვევის საგნის გადმოსატვირთად, მის შესანახად და ამ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბოლოო დანიშნულების ადგილზე გადასაგზავნად.

წინამდებარე მე-12 დათქმა, რომელიც არ ვრცელდება "საერთო ავარიისა" და „გადარჩენის" ხარჯებზე, მოქმედებს მხოლოდ ზემოთ მოყვანილ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 დათქმებში მოცემული გამონაკლისების გათვალისწინების პირობით და არ ფარავს დამზღვევის ან მისი თანამშრომლების ბრალით, გაუფრთხილებლობით, გადახდისუუნარობით თუ ფინანსური დეფოლტით გამოწვეულ ხარჯებს.

სრული კონსტრუქციული დაღუპვა

13. არანაირი სადაზღვევო მოთხოვნა წაყენებული სრული კონსტრუქციული დაღუპვის თაობაზე, არ იქნება დაკმაყოფილებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვევის საგნის მიტოვების გონივრულობა განპირობებული იქნება იმით, რომ მისი რეალური სრული დაღუპვა იქნება გარდაუვალი ან იმით, რომ მისი აღდგენის, შეკეთების და ამ დაზღვევით გათვალისწინებულ დანიშნულების ადგილზე გადაგზავნის ხარჯი ჯამურად გადააჭარბებს დაზღვევის საგნის ღირებულებას ამ უკანასკნელის დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას.

გაზრდილი ღირებულება

14. 14.1. თუ ამ დაზღვევით დაფარულ დაზღვევის საგანთან მიმართებაში დამზღვევმა დამატებით აამოქმედა „გაზრდილ ღირებულებაზე" დაზღვევა, ჩაითვლება, რომ დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება გაიზარდა წინამდებარე და ყველა სხვა „გაზრდილ ღირებულებაზე" დაზღვევით ჯამურად დაფარულ თანხამდე. ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ხსენებულ ჯამურად დაფარულ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

სადაზღვევო მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს სარწმუნო ინფორმაცია ყველა სხვა დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების შესახებ.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ეს დაზღვევა წარმოადგენს „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევას, ამოქმედდება შემდეგი დათქმა:
ჩაითვლება, რომ დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება გაიზარდა ძირითადი და ყველა სხვა „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევით ჯამურად დაფარულ თანხამდე. ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ხსენებულ ჯამურად დაფარულ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

სადაზღვევო მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს სარწმუნო ინფორმაცია ყველა სხვა დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების შესახებ.

გაზრდილი ღირებულება

15. 15.1. ეს დაზღვევა ფარავს დამზღვევს, რომელიც უფლებამოსილია წააყენოს სადაზღვევო მოთხოვნა როგორც პირმა, რომლის მიერ ან რომლის სახელითაც დაიდო დაზღვევის ხელშეკრულება ან როგორც უფლებამონაცვლემ,

15.2. არცერთ შემთხვევაში არ დაფარავს და არც სხვაგვარად მოუტანს რაიმე სარგებელს გადამზიდველს ან ნებისმიერ სხვა ისეთ პირს, ვისზეც დაზღვევის საგანი დროებით იქნა მიბარებული.

დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანა

დამზღვევის ვალდებულება

16. დამზღვევისა და მისი თანამშრომლების და აგენტების ვალდებულებაა, ამ დაზღვევით დაფარულ დანაკარგთან მიმართებაში

16.1. მიიღონ ყველა გონივრული ზომა ამგვარი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან მისი სიდიდის მინიმუმამდე დასაყვანად, და

16.2. უზრუნველყონ გადამზიდველების, იმ პირების, ვისზეც დაზღვევის საგანი დროებით იქნა მიბარებული ან სხვა მესამე პირების მიმართ არსებული უფლებების სათანადოდ დაცვა და მათი აღსრულება.

ამასთან, მზღვეველი, წინამდებარე დაზღვევით დაფარულ ნებისმიერ დანაკარგთან მიმართებით, დამზღვევს დამატებით აუნაზღაურებს ისეთ ხარჯებს, რომელიც მან გონივრულობის ფარგლებში და აუცილებლობიდან გამომდინარე გასწია აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად.

უარი უფლებებზე

17. დამზღვევის ან მზღვეველის მიერ დაზღვევის საგნის გადასარჩენად, დასაცავად ან აღსადგენად მიღებული ზომები არ უნდა იყოს განხილული როგორც რომელიმე მხარის მიერ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა, ან ამ უფლებების დარღვევასა თუ სხვაგვარად შეზღუდვაზე თანხმობა.

დაყოვნების თავიდან აცილება

18 ამ დაზღვევის პირობას წარმოადგენს ის, რომ დამზღვევმა იმოქმედოს გონივრული სისწრაფით ყველა იმ გარემოებაში, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება.

კანონმდებლობა და იურისდიქცია

19 წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ექვემდებარება საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას.

შენიშვნა: მე-9 დათქმის შესაბამისად სადაზღვევო დაფარვის მოქმედების გაგრძელების მოთხოვნისას ან მე-10 დათქმის შესაბამისად დანიშნულების ადგილის ცვლილების შესახებ შეტყობინების დროს, მოქმედებს მზღვეველისთვის შესაბამისი შეტყობინების დაუყოვნებლად გაკეთების ვალდებულება და ამგვარი დაფარვის მიღების უფლება ამ ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებული.

© საავტორო უფლება: 11/08 - Lloyd's Market Association (LMA) და International Underwriting Association of London (IUA).

CL382 01/01/2009

1/ 1/ 09

ლონდონის მფლეველთა ინსტიტუტის ტვირთის დაზღვევის პირობები (ავია გადაზიდვები) (არ ითვალისწინებს საფოსტო გზავნილებს)

დაფარული რისკები

რისკები

1. ეს დაზღვევა ფარავს დაზღვევის საგნის დაკარგვის/განადგურების ან დაზიანების ყველა რისკს, გარდა ქვემოთ მოყვანილი მე-3, მე-4, და მე-5 დათქმებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

გადარჩენის ხარჯები

2. ეს დაზღვევა ფარავს გადარჩენის ხარჯებს, რომელიც გაწეულია ნებისმიერი (ქვემოთ მოყვანილი მე-3, მე-4, და მე-5 დათქმებით გამორიცხულების გარდა) მიზეზით გამოწვეული დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან ამგვარ აცილებასთან დაკავშირებით.

გამონაკლისები

3. ამ დაზღვევით არცერთ შემთხვევაში არ დაიფარება

4.1. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც რაიმე კავშირშია დამზღვევის მიერ განზრახ ჩადენილ არამართლზომიერ ქმედებასთან;

4.2. დაზღვევის საგნის ჩვეული გაჟონვა, წონის და მოცულობის ჩვეული კლება ან მისი ჩვეული ცვეთა და ფლეთა;

4.3. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის არასაკმარისი ან შეუფერებელი შეფუთვითა თუ მომზადებით (როცა ეს შეფუთვა თუ მომზადება განხორციელებულია დამზღვევის/მისი თანამშრომლების მიერ ან ამ დაზღვევის ძალაში შესვლამდე) იმისათვის, რომ მან გაუძლოს დაზღვეული გადაზიდვის დროს მომხდარ ყველა ჩვეულ შემთხვევას (ამ დათქმის მიზნებისთვის იგულისხმება, რომ „შეფუთვა“ მოიცავს აგრეთვე კონტეინერში მოთავსებას, ხოლო „თანამშრომლებში“ არ მოიაზრებიან დამოუკიდებელი კონტრაქტორები);

4.4. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის თანდაყოლილი დეფექტით ან მისი განსაკუთრებული ბუნებით;

4.5. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია დაზღვევის საგნის უსაფრთხო გადაზიდვისთვის შეუსაბამო საჰაერო სატრანსპორტო საშუალების ან კონტეინერის გამოყენებით, იმ შემთხვევაში, როცა მასში/მასზე ჩატვირთვა/დატვირთვა მოხდა წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე ან განხორციელდა დამზღვევის/მისი თანამშრომლების მიერ და ჩატვირთვის/დატვირთვის მომენტში მათთვის ცნობილი იყო ასეთი შეუსაბამობის შესახებ. ეს გამონაკლისი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო მოთხოვნა ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წამოაყენა მხარემ, რომელსაც გადაეცა ამ დაზღვევით მინიჭებული უფლებები და რომელმაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად დადებული დამავალდებულებელი ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა დაზღვევის საგანი ან თანხმობა განაცხადა მის შეძენაზე;

4.6. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია შეფერხებით იმ შემთხვევაშიც კი, როცა შეფერხება, თავის მხრივ, გამოწვეულია დაფარული რისკით;

4.7. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც გამოწვეულია საჰაერო სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეების, მენეჯერების, დამფრახტველების ან ოპერატორების გადახდისუუნარობით ან მათ მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობით, მაშინ როდესაც, დაზღვევის საგნის საჰაერო სატრანსპორტო საშუალებაში ჩატვირთვისას, დამზღვევისთვის ცნობილია ან ჩვეული ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში უნდა იყოს ცნობილი, რომ მსგავსმა გადახდისუუნარობამ ან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს გადაზიდვის ნორმალურად წარმართვას.

აღნიშნული გამონაკლისი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო მოთხოვნა ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში წამოაყენა მხარემ, რომელსაც გადაეცა ამ დაზღვევით მინიჭებული უფლებები და რომელმაც, კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად დადებული დამავალდებულებელი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა დაზღვევის საგანი ან თანხმობა განაცხადა მის შეძენაზე;

4.8. დანაკარგი, ზიანი ან ხარჯი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გამოწვეული ან განპირობებულია ისეთი იარაღის ან დანადგარის გამოყენებით, რომლის მოქმედება ეფუძნება ატომურ თუ ბირთვულ დაშლას და/ან სინთეზს ან სხვა მსგავს რეაქციას, რადიოაქტიური ბუნების ძალას ან მასალას.

5. ეს დაზღვევა არცერთ შემთხვევაში არ ფარავს დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, რომელიც გამოწვეულია

5.1. ომით, სამოქალაქო ომით, რევოლუციით, აჯანყებით, ამბოხებით ან აღნიშნული გარემოებით გამოწვეული სამოქალაქო მღელვარებით, ან მეომარი ძალის მიერ ან მის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი მტრული ქმედებით;

5.2. შეპყრობით, ჩამორთმევით, დაპატიმრებით, შეზღუდვით ან დაკავებით (მეკობრეების ქმედებების გამოკლებით), ასევე, ყოველივე ამის შედეგებით, ან მსგავსი ქმედების ჩადენის ნებისმიერი მცდელობით;

5.3. მიტოვებული ნაღმებით, ტორპედოებით, ბომბებით ან სხვა მიტოვებული საბრძოლო იარაღით.

6. ეს დაზღვევა არცერთ შემთხვევაში არ ფარავს დანაკარგს, ზიანს ან ხარჯს, რომელიც

6.1. გამოწვეულია გაფიცული თუ დაბლოკილი (locked-out) მუშაკებით ან პირებით, რომლებიც მონაწილეობენ შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ პროტესტში, ამბოხებებში, ან სამოქალაქო მღელვარებებში;

6.2. გამოწვეულია გაფიცვებით, დაბლოკვით, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული პროტესტით, ამბოხებებით ან სამოქალაქო მღელვარებებით;

6.3 გამოწვეულია ნებისმიერი ტერორისტული აქტით, რაც წარმოადგენს ნებისმიერი ისეთი ორგანიზაციის სახელით ან მასთან დაკავშირებით მოქმედი ნებისმიერი პირის მიერ ჩადენილ ქმედებას, რომელიც ახორციელებს საქმიანობას, მიმართულს ლეგიტიმური თუ სხვა ხელისუფლების ძალით ან ძალადობით დამხობისკენ ან ამგვარ ხელისუფლებაზე ძალით ან ძალადობით ზემოქმედებისკენ;

6.4 გამოწვეულია პოლიტიკური, იდეოლოგიური ან რელიგიური მოტივით მოქმედი ნებისმიერი პირის ქმედებით.

დაზღვევის მოქმედების პერიოდი

დათქმა გადაზიდვის შესახებ

7. 7.1. მე-9 დათქმის გათვალისწინებით, ეს დაზღვევა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როცა საწყობში, შენობაში ან შენახვის სხვა ადგილზე (რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებაშია მითითებული) განლაგებული დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ავტოტრანსპორტში ან სხვა სატრანსპორტო საშუალებაში(ზე) უმალ ჩატვირთვის/დატვირთვისა და გადაზიდვის დაწყების მიზნით, ძალაში რჩება გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის განმავლობაში და მისი მოქმედება სრულდება ან

7.1.1. დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ დანიშნულების ადგილზე არსებულ საბოლოო საწყობში (საწყობთან), შენობაში (შენობასთან) ან შენახვის სხვა ადგილზე (ადგილთან) გადამზიდი ავტოტრანსპორტიდან ან სხვა სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოტვირთვის დასრულებისთანავე; ან

7.1.2. გადამზიდი ავტოტრანსპორტიდან ან სხვა სატრანსპორტო საშუალებიდან, დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებული დანიშნულების ადგილის მიღწევამდე თუ დანიშნულების ადგილის მიღწევისას სხვა საწყობში (საწყობთან), შენობაში (შენობასთან) ან შენახვის სხვა ადგილზე (ადგილთან) გადმოტვირთვის დასრულებისთანავე, რომელიც დამზღვევმა/მისმა თანამშრომლებმა აირჩიეს დასაწყობებისათვის გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის დარღვევის შემთხვევაში ან ტვირთის განაწილების თუ დისტრიბუციის მიზნით, ან

7.1.3. როცა დამზღვევი/მისი თანამშრომლები გადაწყვეტენ გამოიყენონ რაიმე ისეთი გადამზიდი ავტოტრანსპორტი თუ სხვა სატრანსპორტო საშუალება ან ტვირთის ჩასაწყობად განკუთვნილი კონტეინერი, რომელიც განსხვავდება იმისაგან, რასაც გამოიყენებდნენ გადაზიდვის ჩვეული მიმდინარეობის დროს, ან

7.1.4. საჰაერო სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოტვირთვის საბოლოო ადგილზე დაზღვევის საგნის ჩამოტვირთვის დასრულებიდან 30 დღის გასვლისთანავე, იმისდა მიხედვით, თუ 6.1.1 - 6.1.4 მოვლენებიდან რომელი მოხდება სხვებზე ადრე.

7.2. თუ გადმოტვირთვის საბოლოო ადგილზე საჰაერო სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოტვირთვის შემდეგ, მაგრამ ამ დაზღვევის მოქმედების დასრულებამდე, აღმოჩნდება, რომ დაზღვევის საგანი უნდა გადაიზიდოს ახალ დანიშნულების პუნქტში, ისეთში, რომ ამ გადაზიდვის დროს დაზღვევის საგანი არ იქნება ამ დაზღვევით დაფარული, ამ სადაზღვევო დაფარვის მოქმედება, რომელიც ნორმალურ ვითარებაში სრულდება ისე, როგორც ეს 6.1.1.-6.1.4. დათქმებშია აღწერილი, არცერთ შემთხვევაში არ გაგრძელდება იმ მომენტის შემდეგ, როცა დაზღვევის საგანი პირველად იქნება გადაადგილებული ამ ახალ დანიშნულების პუნქტში გადაზიდვის დაწყების მიზნით.

7.3. ეს სადაზღვევო დაფარვა ძალაში რჩება (მისი მოქმედების დასრულების 6.1.1.-6.1.4. დათქმებში აღწერილი პირობებისა და ქვემოთ მოყვანილი მე–7 დათქმის დებულებების გათვალისწინებით) გადაზიდვის დროს მომხდარი დაყოვნების განმავლობაშიც, თუ ასეთი დაყოვნების მიზეზები დამზღვევის კონტროლის ფარგლებს გარეთაა; ასევე, კურსიდან ნებისმიერი გადახვევის, ტვირთის იძულებითი ჩამოტვირთვის, მისი ხელახლა დატვირთვის ან გადატვირთვის დროს და გადაზიდვის მიმდინარეობაში მომხდარ ისეთ ნებისმიერ ცვლილებისას, რომელიც გამოწვეულია გადაზიდვის ხელშეკრულებით საჰაერო გადამზიდველებისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენებით.

გადაზიდვის ხელშეკრულების შეწყვეტა

8. თუ დამზღვევის კონტროლს მიღმა არსებული გარემოებების გამო, გადაზიდვის ხელშეკრულება შეწყდება იმ ადგილზე, რომელიც არ არის დანიშნულების ადგილი ამ ხელშეკრულების მიხედვით, ან ტვირთის გადაზიდვა სხვაგვარად შეწყდება, მანამ სანამ დაზღვევის საგანი გადმოიტვირთება ისე როგორც ეს ზემოთ მოცემულ მე-6 დათქმაშია აღწერილი, ეს დაზღვევაც ჩაითვლება შეწყვეტილად გარდა იმ შემთხვევისა, როცა მზღვეველს დაუყოვნებლივ ეცნობება შექმნილი ვითარების შესახებ და მოთხოვნილი იქნება სადაზღვევო დაფარვის მოქმედების გაგრძელება; ასეთ შემთხვევაში, მზღვეველის მიერ მოთხოვნილი დამატებითი სადაზღვევო პრემიის გადახდის პირობით (თუ ასეთი იქნა მოთხოვნილი), ეს დაზღვევა დარჩება ძალაში

8.1. ტვირთის გაყიდვასა და შესაბამის ადგილზე მის მიწოდებამდე, ან, თუ სხვაგვარად არ არის სპეციალურად შეთანხმებული, დაზღვევის საგნის ზემოთ ხსენებულ ადგილზე ჩამოტვირთვიდან 30 დღის გასვლამდე (იმისდა მიხედვით, თუ რომელი მოხდება უფრო ადრე) ან

8.2. მე-6 დათქმის მიხედვით მის დასრულებამდე, თუ ზემოთ ხსენებული 30 დღის (ან უფრო ფართო შეთანხმებული პერიოდის) განმავლობაში დაზღვევის საგანი გადაიგზავნება დაზღვევის ხელშეკრულებაში მითითებულ ან სხვა დანიშნულების ადგილზე.

მარშრუტის ცვლილება

9. 9.1. იმ შემთხვევაში, თუ ამ დაზღვევის ძალაში შესვლის შემდეგ, დამზღვევი შეცვლის დანიშნულების ადგილს, ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მზღვეველს რათა მოხდეს ახალ საპრემიო განაკვეთსა და დაზღვევის პირობებზე შეთანხმება. ამასთან, თუ ამგვარი შეთანხმების მიღწევამდე, დამზღვევი განიცდის ზარალს, იგი შეიძლება დაიფაროს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ეს დაფარვა ხელმისაწვდომი იქნებოდა კომერციულ ბაზარზე არსებულ გონივრულ ფასად და გონივრული საბაზრო პირობებით.

9.2. თუ დაზღვევის საგნის გადაზიდვა, რომელსაც ითვალისწინებს ეს დაზღვევა, იწყება (6.1 დათქმის შესაბამისად), მაგრამ საჰაერო სატრანსპორტო საშუალება გაემართება სხვა დანიშნულების ადგილისკენ ისე, რომ ამის შესახებ არც დამზღვევმა და არც მისმა თანამშრომლებმა არაფერი იციან, იგულისხმება, რომ, მარშრუტის ცვლილების მიუხედავად, ამ სადაზღვევო დაფარვის მოქმედება იწყება ამგვარი გადაზიდვის დაწყებისთანავე.

სადაზღვევო მოთხოვნები

დაზღვევადი ინტერესი

10. 10.1. ამ დაზღვევის ფარგლებში სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად აუცილებელია, რომ ზარალის დადგომის მომენტში დამზღვევს გააჩნდეს დაზღვევადი ინტერესი დაზღვევის საგნის მიმართ.

10.2. ზემოთ მოყვანილი 9.1 დათქმის გათვალისწინებით, დამზღვევი უფლებამოსილია აინაზღაუროს ამ დაზღვევით დაფარული ზარალი მომხდარი ამ დაზღვევის მოქმედების პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც ზარალის მოხდენა წინ უძღოდა დაზღვევის ხელშეკრულების დადებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელშეკრულების დადების მომენტში დამზღვევი ინფორმირებული იყო ზარალის შესახებ, მზღვეველი კი – არა.

გადაგზავნის ხარჯები

11. იმ შემთხვევაში, თუ ამ დაზღვევით დაფარული რისკის გამოვლენის გამო დაზღვეული გადაზიდვა შეწყდება ისეთ ადგილას, რომელიც ამ დაზღვევის ხელშეკრულებაში არ არის მიჩნეული გადაზიდვის საბოლოო დანიშნულების ადგილად, მზღვეველი აუნაზღაურებს დამზღვევს ნებისმიერი სახის დამატებით ხარჯებს, რომელიც გონივრულობის ფარგლებში და აუცილებლობიდან გამომდინარე იქნება გაწეული დაზღვევის საგნის გადმოსატვირთად, მის შესანახად და ამ დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბოლოო დანიშნულების ადგილზე გადასაგზავნად.

წინამდებარე მე-10 დათქმა, რომელიც არ ვრცელდება „გადარჩენის“ ხარჯებზე, მოქმედებს მხოლოდ ზემოთ მოყვანილ მე-3, მე-4 და მე-5 დათქმებში მოცემული გამონაკლისების გათვალისწინების პირობით და არ ფარავს დამზღვევის ან მისი თანამშრომლების ბრალით, გაუფრთხილებლობით, გადახდისუუნარობით თუ ფინანსური დეფოლტით გამოწვეულ ხარჯებს.

გადაგზავნის ხარჯები

12. არანაირი სადაზღვევო მოთხოვნა წაყენებული სრული კონსტრუქციული დაღუპვის თაობაზე, არ იქნება დაკმაყოფილებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზღვევის საგნის მიტოვების გონივრულობა განპირობებული იქნება იმით, რომ მისი რეალური სრული დაღუპვა იქნება გარდაუვალი ან იმით, რომ მისი აღდგენის, შეკეთების და ამ დაზღვევით გათვალისწინებულ დანიშნულების ადგილზე გადაგზავნის ხარჯი ჯამურად გადააჭარბებს დაზღვევის საგნის ღირებულებას ამ უკანასკნელის დანიშნულების ადგილზე ჩასვლისას.

გაზრდილი ღირებულება

13. 13.1. თუ ამ დაზღვევით დაფარულ დაზღვევის საგანთან მიმართებაში დამზღვევმა დამატებით აამოქმედა „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევა, ჩაითვლება, რომ დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება გაიზარდა წინამდებარე და ყველა სხვა „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევით ჯამურად დაფარულ თანხამდე. ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ხსენებულ ჯამურად დაფარულ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

სადაზღვევო მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს სარწმუნო ინფორმაცია ყველა სხვა დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების შესახებ.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ეს დაზღვევა წარმოადგენს „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევას, ამოქმედდება შემდეგი დათქმა:
ჩაითვლება, რომ დაზღვევის საგნის შეთანხმებული ღირებულება გაიზარდა ძირითადი და ყველა სხვა „გაზრდილ ღირებულებაზე“ დაზღვევით ჯამურად დაფარულ თანხამდე. ამ დაზღვევის ხელშეკრულების ფარგლებში მზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხის ხსენებულ ჯამურად დაფარულ თანხასთან შეფარდების პროპორციულად.

სადაზღვევო მოთხოვნის წაყენების შემთხვევაში, დამზღვევი ვალდებულია წარუდგინოს მზღვეველს სარწმუნო ინფორმაცია ყველა სხვა დაზღვევით გათვალისწინებული სადაზღვევო თანხების შესახებ.

სარგებელი დაზღვევიდან

14. 14.1. ეს დაზღვევა ფარავს დამზღვევს, რომელიც უფლებამოსილია წააყენოს სადაზღვევო მოთხოვნა როგორც პირმა, რომლის მიერ ან რომლის სახელითაც დაიდო დაზღვევის ხელშეკრულება ან როგორც უფლებამონაცვლემ,

14.2. არცერთ შემთხვევაში არ დაფარავს და არც სხვაგვარად მოუტანს რაიმე სარგებელს გადამზიდველს ან ნებისმიერ სხვა ისეთ პირს, ვისზეც დაზღვევის საგანი დროებით იქნა მიბარებული.

დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანა

დამზღვევის ვალდებულება

15. დამზღვევისა და მისი თანამშრომლების და აგენტების ვალდებულებაა, ამ დაზღვევით დაფარულ დანაკარგთან მიმართებაში

15.1. მიიღონ ყველა გონივრული ზომა ამგვარი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ან მისი სიდიდის მინიმუმამდე დასაყვანად, და

15.2. უზრუნველყონ გადამზიდველების, იმ პირების, ვისზეც დაზღვევის საგანი დროებით იქნა მიბარებული ან სხვა მესამე პირების მიმართ არსებული უფლებების სათანადოდ დაცვა და მათი აღსრულება.

ამასთან, მზღვეველი, წინამდებარე დაზღვევით დაფარულ ნებისმიერ დანაკარგთან მიმართებით, დამზღვევს დამატებით აუნაზღაურებს ისეთ ხარჯებს, რომელიც მან გონივრულობის ფარგლებში და აუცილებლობიდან გამომდინარე გასწია აღნიშნული ვალდებულებების შესასრულებლად.

უარი უფლებებზე

16. დამზღვევის ან მზღვეველის მიერ დაზღვევის საგნის გადასარჩენად, დასაცავად ან აღსადგენად მიღებული ზომები არ უნდა იყოს განხილული როგორც რომელიმე მხარის მიერ საკუთარ უფლებებზე უარის თქმა, ან ამ უფლებების დარღვევასა თუ სხვაგვარად შეზღუდვაზე თანხმობა.

დაყოვნების თავიდან აცილება

17. ამ დაზღვევის პირობას წარმოადგენს ის, რომ დამზღვევმა იმოქმედოს გონივრული სისწრაფით ყველა იმ გარემოებაში, რომელიც მის კონტროლს ექვემდებარება.

კანონმდებლობა და იურისდიქცია

18. წინამდებარე დაზღვევა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და ექვემდებარება საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას.

შენიშვნა: მე-7 დათქმის შესაბამისად სადაზღვევო დაფარვის მოქმედების გაგრძელების მოთხოვნისას ან მე-8 დათქმის შესაბამისად დანიშნულების ადგილის ცვლილების შესახებ შეტყობინების დროს, მოქმედებს მზღვეველისთვის შესაბამისი შეტყობინების დაუყოვნებლად გაკეთების ვალდებულება და ამგვარი დაფარვის მიღების უფლება ამ ვალდებულების შესრულებაზეა დამოკიდებული.

© საავტორო უფლება: 12/08 - Lloyd's Market Association (LMA) და International Underwriting Association of London (IUA).